სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს

2026 წლის 3 აგვისტოს N21/11197 წერილით წარმოდგენილ შენიშვნებზე პასუხები

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

ა.ა) კაპრეშუმის უბანი - რეზერვუარების რაოდენობა და ნუმერაცია

სააგენტოს შენიშვნა:

კაპრეშუმის უბანზე, Shp ფაილით ასახული 22 რეზერვუარი არ არის თანხვედრაში დანართი N1-ით წარმოდგენილ სქემასთან, ასევე, კაპრეშუმის უბნის რეზერვუარების ნუმერაცია არ არის გარჩევადი, რაც საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, გვ. 63-ზე აღნიშნულია, რომ კაპრეშუმის უბანზე გათვალისწინებული იყო 17 რეზერვუარი, ხოლო არსებული მდგომარეობით უბანზე დარჩენილია 16 რეზერვუარი, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან სქემაზე დანომრილია 15 რეზერვუარი (N: 201; 202; 203; 204; 205; 208; 210; 211; 212; 213; 214; 215; 216; 217; 218). აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაზუსტებელია კაპრეშუმის უბანზე არსებული ყველა რეზერვუარის ფუნქციური სტატუსი;

პასუხი:

წარმოგიდგენთ კაპრეშუმის უბნის განახლებულ გენერალურ გეგმას და Shp ფაილებს (დანართი 8 და დანართი 10). კაპრეშუმის უბანზე განთავსებულია **16 ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარი:** №201, №202, №203, №204, №205, №207, №208, №210, №211, №212, №213, №214, №215, №216, №217 და №218, ჯამური ნომინალური მოცულობით 160 000 მ³.

დამატებით განგიმარტავთ, რომ №221 და №223 ჩამდინარე წყლების ბუფერული შეყოვნების და დამატებითი გაწმენდის რეზერვუარებია, №219 ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკური წყლის 10 000 მ3 მოცულობის სამარაგო რეზერვუარია. ასევე №243 ხანძარსაწინააღმდეგო და ტექნიკური წყლის 2000მ3 მოცულობის რეზერვუარია, ხოლო მის მიმდებარედ სქემაზე მითითებული 50მ3 მოცულობის №245 და №246 სახანძრო ქაფის შესანახი რეზერვუარებია.

ა.ბ) იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქრო - რეზერვუარების რაოდენობა

სააგენტოს შენიშვნა:

გზშ-ის ანგარიშში, გვ. 27-ზე წარმოდგენილი ინფორმაციით, იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქროში არსებული მდგომარეობით 21 რეზერვუარია, თუმცა Shp ფაილებით და დანართი N1-ით წარმოდგენილ სქემის მიხედვით - 23 რეზერვუარი, რაც დაზუსტებას საჭიროებს;

პასუხი:

წარმოგიდგენთ განახლებულ გენერალურ გეგმას და Shp ფაილებს. იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროში არსებული მდგომარეობით განთავსებულია **ნავთობპროდუქტების მიღება-შენახვისთვის 21 რეზერვუარი** (N1, N2, N3, N4,N 5, N6, N7, N8,N9, N10, N11, N12, N13, N14, N34, N150, N151, N140, N141, N142, N143).

განახლებულ გენერალურ გეგმაზე ერთმანეთისგან მკაფიოდ არის გამიჯნული „ხოლოდნაია სლობოდას“ და იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღებისა და განაწილების საამქროს უბნის ფარგლებში არსებული რეზერვუარების რაოდენობა და ნუმერაცია.

ამასთან, №15 რეზერვუარი გამოიყენება ნავთობდამჭერიდან ნავთობპროდუქტებით შემცველი წყლის მისაღებად. გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულ რეზერვუართან დაკავშირებით დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, თუმცა მისი გამოყენება რეალურად მუდმივად ხდებოდა სწორედ აღნიშნული ფუნქციური დანიშნულებით.

ა.გ) ყველა საწარმოო უბნის რეზერვუარების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

სააგენტოს შენიშვნა:

ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია ნავთობტერმინალის საწარმოო უბნებზე, როგორც საბაზისო პროექტით გათვალისწინებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების რეზერვუარების რაოდენობის, მოცულობების და ფუნქციური დანიშნულების, ისე ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, თითოეულ საწარმოო უბანზე გათვალისწინებული ნავთობის და ნავთობპროდუქტების რეზერვუარების რაოდენობების, მოცულობების და ფუნქციური დანიშნულების შესახებ;

პასუხი:

დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ,,დანართი 6” -ით „ცვლილებები სარეზერვუარო პარკებისა და რეზერვუარების მიხედვით“, სადაც თითოეული საწარმოო უბნისთვის მოცემულია რეზერვუარის ნომერი, მოცულობა, 2021 წლის გზშ-ის მიხედვით გათვალისწინებული ფუნქციური დანიშნულება, გარემოსდაცვითი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიება და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განსაზღვრული ფუნქციური დანიშნულება.

ბ) „ხოლოდნაია სლობოდას“ II ჯგუფის (გ-30) რეზერვუარების ფუნქციური სტატუსი

სააგენტოს შენიშვნა:

გზშ-ის ანგარიში მოიცავს ურთიერთშეუსაბამო ინფორმაციას, კერძოდ, ანგარიშის გვ.17-ზე წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, „ხოლოდნაია სლობოდას“ II ჯგუფის (გ-30) №144, №145, №146, №147, №148, №149, №156 რეზერვუარები განკუთვნილი იყო ძირითადად ჩვეულებრივი ნავთობის შესანახად, თუმცა №144, №145 და №148 შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნედლი ნავთობისთვის, ხოლო შესაბამისი რემონტისა და აღჭურვის შემთხვევაში - ასევე ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემისთვისაც, ხოლო №146, №147, №149 და №156 რეზერვუარები კვლავ გამოყენებული იქნება ჩვეულებრივი ნავთობისთვის. ამასთან, გზშ-ის ანგარიშის გვ.44-ის მიხედვით, საჭიროების, ასევე შესაბამისად გარემონტებისა და აღჭურვის შემთხვევაში ხოლოდნაია სლობოდას დანარჩენი რეზერვუარებიც (№144, №145, №146, №147, №148, №149) გადაეცემა იმპორტირებადი ნავთობპროდუქტების მიღების და განაწილების საამქროს. აღნიშნულის გათვალისწინებით, „ხოლოდნაია სლობოდას“ II ჯგუფის რეზერვუარების ფუნქციური სტატუსები საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი:

სააგენტოს შენიშვნის გათვალისწინებით დაზუსტდა „ხოლოდნაია სლობოდას“ II ჯგუფის (გ-30) რეზერვუარების არსებული და დაგეგმილი ფუნქციური დანიშნულება.

2021 წლის გზშ-ის მიხედვით №144, №145, №146, №147, №148, №149 და №156 რეზერვუარები ძირითადად განკუთვნილი იყო ჩვეულებრივი ნავთობის შესანახად.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში №144, №145 და №148 რეზერვუარები საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნედლი ნავთობისთვის, ხოლო შესაბამისი რემონტისა და ტექნოლოგიური აღჭურვის შემთხვევაში - ნათელი ნავთობპროდუქტების მიღება/შენახვა/გაცემის ოპერაციებისთვისაც.

№146, №147 და №149 რეზერვუარების ძირითადი ფუნქციური დანიშნულება რჩება ჩვეულებრივი ნავთობის შენახვა, თუმცა შესაბამისი რემონტისა და ტექნოლოგიური აღჭურვის შემთხვევაში შესაძლებელია მათი გამოყენება ნათელი ნავთობპროდუქტებისთვისაც.

№156 რეზერვუარი რჩება ჩვეულებრივი ნავთობის შესანახად და მისი ფუნქციური ცვლილება არ არის გათვალისწინებული.

შესაბამისად, ,დანართი 6"-ში მკაფიოდ არის გამიჯნული აღნიშნული რეზერვუარების საბაზისო ფუნქციური მდგომარეობა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული შესაძლო ფუნქციური გამოყენება.

გ) მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქრო - დიზელის საწვავის რეზერვუარი

სააგენტოს შენიშვნა:

გზშ-ის ანგარიშის გვ.18-ის მიხედვით, მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს რეზერვუარები განკუთვნილი იყო ძირითადად მაზუთის, ვაკუუმგაზოილის, ნავთობის, ნედლი ნავთობის, ნავთობშლამებისა და ცალკეულ შემთხვევაში დიზელის საწვავის შესანახად, თუმცა გვ.35-ზე წარმოდგენილი ინფორმაციით, I ჯგუფის (გ-12) რეზერვუარები: №71, №80, №90 და №92 - გზშ-ის მიხედვით გამოიყენებოდა ძირითადად მაზუთისა და ცალკეულ შემთხვევაში, შლამის შესანახად და არ არის მითითებული დიზელისთვის განკუთვნილი შესაბამისი რეზერვუარი, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი:

სააგენტოს შენიშვნაში მითითებული I ჯგუფის (გ-12) №71, №80, №90 და №92 რეზერვუარები ძირითადად გათვალისწინებული იყო მაზუთისა და შესაბამის შემთხვევებში სხვა ნავთობპროდუქტების შესანახად და არ წარმოადგენდა დიზელის საწვავის შესანახად განსაზღვრულ რეზერვუარებს.

2021 წლის გზშ-ის მიხედვით დიზელის საწვავის შესანახად განსაზღვრული იყო M ჯგუფის №236, №237 და №238 რეზერვუარები, თითოეული 10 000 მ³ მოცულობით.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში აღნიშნული რეზერვუარები ფუნქციურად დაბრუნდა მუქი ნავთობპროდუქტების მიღებისა და გადატვირთვის საამქროს სისტემაში და მათი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა იძლევა როგორც მუქი და ნათელი ნავთობპროდუქტების, ასევე ნედლი ნავთობის მიღება/შენახვა/გაცემის შესაძლებლობას.

დ) №71 და №80 რეზერვუარების ფუნქციური დანიშნულება

სააგენტოს შენიშვნა:

გზშ-ის ანგარიშის გვ.18-ზე მოცემული ინფორმაციით, №71 რეზერვუარი, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყლისთვის ან ნავთობის/მაზუთის შესანახად, ხოლო გვ.23-ზე წარმოდგენილი ინფორმაციით, №71 რეზერვუარი შესაძლებელია გარემონტდეს და გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყლისთვის, ნაცვლად №84 რეზერვუარისა. ამასთან, გვ.56-ზე წარმოდგენილი ინფორმაციით, №80 რეზერვუარი გამოყენებული იქნება მაზუთის ან ვაკუუმ-გაზოილის შესანახად, ხოლო გვ.18-ზე წარმოდგენილი ინფორმაციით, ცვლილების თანახმად, საამქროს რეზერვუარების გამოყენება მნიშვნელოვნად ფართოვდება და №80, №90 და №92 რეზერვუარები გამოყენებულ იქნება ნავთობის, მაზუთის ან ვაკუუმგაზოილისთვის. შესაბამისად, დასაზუსტებელია №71 და №80 რეზერვუარების ფუნქციური დანიშნულება;

პასუხი:

გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ნაწილებში აღწერილია ერთმანეთთან დაკავშირებული პირობითი ფუნქციური გადანაწილების სცენარები.

№71 რეზერვუარი საჭიროებისა და შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყლისთვის, №84 რეზერვუარის ნაცვლად, ან ნავთობის/მაზუთის შესანახად.

№80 რეზერვუართან დაკავშირებით 2021 წლის გზშ-ის ანგარიშში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი - მის ფუნქციურ დანიშნულებად შეცდომით იყო მითითებული შლამის შენახვა. დაზუსტებული ინფორმაციით, №80 რეზერვუარის გამოყენება გათვალისწინებულია ვაკუუმ-გაზოილის, მაზუთის ან ნავთობის შესანახად.

№90 და №92 რეზერვუარების გამოყენება ასევე გათვალისწინებულია მაზუთის, ნავთობის ან ვაკუუმ-გაზოილის შესანახად.

ე) გზშ-ის ანგარიშისა და ზდგ-ის ნორმების პროექტის ცხრილებს შორის შესაბამისობა

სააგენტოს შენიშვნა:

გზშ-ის ანგარიშსა (გვ.16-20) და ზდგ-ის ნორმების პროექტის (გვ.13-16) ცხრილებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ მოიცავს იდენტურ ინფორმაციას „შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ 2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის (ბრძანება N2-239) შემდგომ დღევანდელ დღემდე ტერმინალის ტერიტორიაზე განხორციელებული და დაგეგმილი ტექნიკური სახის ცვლილების შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;

პასუხი:

სააგენტოს შენიშვნის გათვალისწინებით განახლდა ზდგ-ის ნორმების პროექტი.

განახლებულ პროექტში 2021 წლის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ტერმინალის ტერიტორიაზე განხორციელებული და დაგეგმილი ტექნიკური ცვლილებების შესახებ ინფორმაცია შესაბამისობაშია მოყვანილი გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემებთან.

შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშისა და ზდგ-ის ნორმების პროექტის შესაბამის ცხრილებში წარმოდგენილი ინფორმაცია ურთიერთშესაბამისია.

ვ) ნარჩენების მართვის ალტერნატივის დასაბუთება

სააგენტოს შენიშვნა:

ზდგ-ის ნორმების პროექტში (გვ. 16) აღნიშნულია, რომ ვინაიდან კომპანიის საკუთრებაში არსებული ინსინერატორი მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაშიც კი ვერ უზრუნველყოფს დაგეგმილი რაოდენობის ნარჩენების ინსინერაციას, დაგეგმილია ნარჩენების (05 01 03*, 16 07 08*) შემდეგი მართვისთვის, ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიაზე გადაცემა. კომპანია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგის და გრუნტის მართვისთვის ასევე განიხილავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ბიორემედიაციის მეთოდის გამოყენებას, რისთვისაც მომდევნო წლებში შესწავლილი იქნება ბიორემედიაციის შესაბამისი ტექნოლოგია და ამ ტექნოლოგიის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობა. გარემოსდაცვითი და ეკონომიკური თვალსაზრისით მისაღები ტექნოლოგიის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ასევე დანერგავს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგის და გრუნტის ბიორემედიაციის მეთოდს. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში განხილულია ნავთობშლამებისა და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის მართვის ალტერნატივები, თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია შერჩეული ალტერნატივის შესახებ,

სათანადო დასაბუთებით, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან საქართველოს მთავრობის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ ანგარიშის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2025 წლის 24 სექტემბრის N417 დადგენილების მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შეთავაზებული დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

პასუხი:

ნავთობშლამებისა (05 01 03*) და ნავთობით დაბინძურებული გრუნტისა და სხვა შესაბამისი ნავთობის შემცველი ნარჩენების (16 07 08*) მართვისთვის გათვალისწინებულია კომბინირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს ინსინერაციას, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მესამე პირისთვის გადაცემას და შესაბამისი ტექნოლოგიური და ტექნიკურ-ეკონომიკური წინაპირობების არსებობის შემთხვევაში -ბიორემედიაციას. კონკრეტული მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის გამოყენება განისაზღვრება ნარჩენის ტიპის, მოცულობის, შემადგენლობის, ტექნიკური და გარემოსდაცვითი მახასიათებლების, ასევე კონკრეტულ მომენტში არსებული ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კომპანიის საკუთრებაში არსებული ინსინერატორის სიმძლავრე მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაშიც ვერ უზრუნველყოფს წარმოქმნილი და არსებული ნარჩენების სრული რაოდენობის დროულ ინსინერაციას. შესაბამისად, ინსინერაციის, როგორც ერთადერთი მართვის მეთოდის გამოყენება, ვერ უზრუნველყოფს ნარჩენების სრული მოცულობის მართვას. იმ რაოდენობის ნარჩენები, რომელთა დამუშავებაც საწარმოს არსებული ინსინერატორით ვერ განხორციელდება, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას. ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგისა და გრუნტის მართვისთვის დამატებით განიხილება ბიორემედიაციის მეთოდის გამოყენება, რომლის დანერგვა შესაძლებელი იქნება შესაბამისი ტექნოლოგიის შესწავლის, გარემოსდაცვითი ეფექტიანობისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასების საფუძველზე.

კომბინირებული მიდგომის შერჩევა ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, რომელიც ადასტურებს, რომ ნავთობშლამების მართვის არცერთი ცალკე აღებული მეთოდი არ არის

უნივერსალურად ოპტიმალური ყველა ტიპის ნარჩენისთვის და ყველა საწარმოო პირობაში (Niu et al., 2022, Molecules; Jafarinejad, 2025, Springer; Hu et al., 2013, Journal of Hazardous Materials; da Silva et al., 2012, Waste Management & Research)[1]. კომბინირებული მიდგომა უზრუნველყოფს ოპერაციულ მოქნილობას - თუ ერთი მეთოდი კონკრეტულ მომენტში მიუწვდომელია ან არაეფექტურია, კომპანიას შეუძლია ალტერნატიული მეთოდით გააგრძელოს ნარჩენების მართვა, რითაც აცილებულია ნარჩენების დაგროვებისა და გარემოს დაბინძურების რისკი.

ნულოვანი ალტერნატივის შემთხვევაში (№417 დადგენილების მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად) ნარჩენების მართვა ამ ეტაპზე გაგრძელდებოდა მხოლოდ ინსინერაციის მეთოდით, რაც ინსინერატორის შეზღუდული სიმძლავრის გამო ვერ უზრუნველყოფდა ნარჩენების სრული რაოდენობის დროულ დამუშავებას და გამოიწვევდა ნარჩენების პროგრესულ დაგროვებას საწარმოს ტერიტორიაზე.

ზ) ისტორიული ნარჩენების რაოდენობა და მათი მართვის გეგმა-გრაფიკი

სააგენტოს შენიშვნა:

გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია არსებული ისტორიული ნარჩენების (05 01 03*, 16 07 08*) რაოდენობისა და მათი მართვის ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის შესახებ;

პასუხი:

ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც ასახულია ისტორიულად დაგროვილი ნარჩენების (05 01 03*, 16 07 08*) რაოდენობა და მათი მართვის გეგმა-გრაფიკი, შეთანხმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ისტორიული ნარჩენების მართვა გათვალისწინებულია კომბინირებული მიდგომით - ინსინერაციის, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მესამე პირისთვის გადაცემისა და შესაბამისი ტექნოლოგიური წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ბიორემედიაციის მეთოდების გამოყენებით.

შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალი'' ეტაპობრივად განახორციელებს მის ტერიტორიაზე მოწყობილ შლამსაცავებში ისტორიულად დაგროვილი ნარჩენების (ნავთობშლამები) და მის საწარმოო ტერიტორიებზე არსებული ნავთობის შემცველი ნარჩენების (ნავთობით დაბინძურებული გრუნტი,

[1] https://doi.org/10.3390/molecules27227795
https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-58441-1_7
https://doi.org/10.1016/j.jhazmat.2013.07.069
https://doi.org/10.1177/0734242X12448517

სილა, ხრეში და სხვ) შემდგომ მართვას. ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც ასახულია ისტორიულად დაგროვილი ნარჩენების (05 01 03*, 16 07 08*) რაოდენობა და მათი მართვის გეგმა-გრაფიკი, შეთანხმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ისტორიული ნარჩენის კოდი.	ისტორიული ნარჩენის დასახელება.	ინსინერაციას/ბიორემედიაციას დაქვემდებარებული ისტორიული ნარჩენების რაოდენობა (ტონა)		
		2026 წელი	2027 წელი	2028 წელი
05 01 03*	**რეზერვუარის ძირში წარმოქმნილი ლექი** (ნავთობშლამები)	**760**	**760**	**760**
16 07 08*	**ნავთობის შემცველი ნარჩენები** *(ნავთობით დაბინძურებული გრუნტი, ნავთობით დაბინძურებული ნახერხი, ნავთობით დაბინძურებული სილა, ნავთობით დაბინძურებული ხრეში)*	**132**	**132**	**132**

თ) ზდჩ-ის ნორმების პროექტის სატიტულო ფურცელი

სააგენტოს შენიშვნა:

გზშ-ის ანგარიშზე თანდართული ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის სატიტულო ფურცელი საჭიროებს რედაქტირებას და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ N414 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას;

პასუხი:

სააგენტოს შენიშვნის გათვალისწინებით განახლდა ზდჩ-ის ნორმების პროექტის სატიტულო ფურცელი და მოყვანილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №414 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

განახლებული ზდჩ-ის ნორმების პროექტი წარმოდგენილია თანდართული სახით.

ი) ჩამდინარე წყლების მონიტორინგის სიხშირე

სააგენტოს შენიშვნა:

მონიტორინგის გეგმაში წარმოდგენილი ჩამდინარე წყლის ხარისხის საკონტროლო სიხშირე/დრო არ ემთხვევა ზდჩ-ის ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას, მაგ: ზდჩ-ის ნორმების პროექტში, გვ.83-ზე აღნიშნულია, რომ შეწონილი ნაწილაკების, ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების, ჟბმ-ს და ა.შ. ჩამდინარე წყლების გამოსაკვლევი ინგრედიენტების მონიტორინგი განხორციელდება დღეში ერთხელ, ხოლო გზშ-ის ანგარიშის მონიტორინგის გეგმის მიხედვით - თვეში ერთხელ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი:

გზშ-ის ანგარიშის მონიტორინგის გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნებოდა 2021 წლის გზშ-ის ანგარიშს და საჭიროებდა ზდჩ-ის ნორმების პროექტსა და კომპანიის ფაქტობრივად მოქმედ მონიტორინგის რეჟიმთან შესაბამისობაში მოყვანას.

კომპანიის ეკოლოგიური მონიტორინგის რეგლამენტის BOT-IMS2.A01-203, რევიზია 6 შესაბამისად, ძირითად წყალგამწმენდ ნაგებობებზე ნავთობპროდუქტები, შეწონილი ნივთიერებები, pH, ფერი და სუნი კონტროლდება ყოველდღიურად, როგორც გამწმენდი სისტემის ოპერაციული კონტროლის ნაწილი.

ჟბმ-ის ლაბორატორიული კონტროლი ხორციელდება თვეში ერთხელ. ლოკალურ ნავთობდამჭერებზე შესაბამისი კონტროლი ხორციელდება თვეში ერთხელ.

განახლებულ გზშ-ის ანგარიშსა და ზდჩ-ის ნორმების პროექტში ერთმანეთისგან მკაფიოდ არის გამიჯნული გამწმენდი ნაგებობების ყოველდღიური ოპერაციული კონტროლი და შესაბამისი პერიოდულობით განხორციელებული გარემოსდაცვითი/ლაბორატორიული მონიტორინგი. იხ. დანართი 4- განახლებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა.

კ) ზედაპირული წყლის ობიექტების საკონტროლო წერტილები

სააგენტოს შენიშვნა:

გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის მიხედვით, ზედაპირული წყლის ობიექტის საკონტროლო წერტილები არ ემთხვევა ზდჩ-ის ნორმების პროექტში მოცემულ შესაბამის მონიტორინგის საკონტროლო წერტილებს. ამასთან, მონიტორინგის გეგმის მატერიალური და ელექტრონული ვერსიები (გზშ-ის ანგარიშში) არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;

პასუხი:

სააგენტოს შენიშვნის გათვალისწინებით გადამოწმდა და ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდა გზშ-ის ანგარიშის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმასა და ზდჩ-ის ნორმების პროექტში წარმოდგენილი ზედაპირული წყლის ობიექტების მონიტორინგის საკონტროლო წერტილები. იხ. დანართი 3 და დანართი 4.

ლ) ზდგ - მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები

სააგენტოს შენიშვნა:

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტში წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვეული რაოდენობრივი მაჩვენებლები არ არის ასახული სრულყოფილად, რაც დასაზუსტებელია;

პასუხი:

სააგენტოს შენიშვნის გათვალისწინებით განახლდა ზდგ-ის ნორმების პროექტი, რომელშიც სრულყოფილად არის წარმოდგენილი გაფრქვევის წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. იხ. დანართი 2.

შესაბამისი მონაცემები ურთიერთშესაბამისად არის წარმოდგენილი პროექტის ტექსტურ ნაწილში, ცხრილებსა და დანართებში.

მ) ზდგ - ჯგუფების სახეობების განმარტება

სააგენტოს შენიშვნა:

ზდგ-ის ნორმების პროექტში წარმოდგენილია ჯგუფების სახეობები (I – P; I – VI; A – E; ჯ-ჯგუფი; და ა.შ.), რომლის მიხედვითაც ხორციელდება საწარმო პროცესის შესაბამისად გაფრქვევის წყაროების და მავნე ნივთიერებათა რაოდენობების დადგენა ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მიზნით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დეტალურ განმარტებას/დაზუსტებას და ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

პასუხი:

ზდგ-ის ნორმების განახლებულ პროექტში დეტალურად არის განმარტებული საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული ჯგუფების აღნიშვნები, მათ შორის I–P, I–VI, A–E, ჯ-ჯგუფი და სხვა შესაბამისი ჯგუფები.

წარმოდგენილია მათი კავშირი შესაბამის საწარმოო უბნებთან, ტექნოლოგიურ ობიექტებთან, გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროებთან და შესაბამის მავნე ნივთიერებებთან.

ჯგუფების აღნიშვნები და მათი ფუნქციური დანიშნულება შესაბამისობაშია მოყვანილი საწარმოს ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

ნ) გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების იდენტიფიკაცია

სააგენტოს შენიშვნა:

გაფრქვევის წყაროების მნიშვნელობები წარმოდგენილია ერთიდაიმავე წყაროზე როგორც გამოყოფის, ასევე გაფრქვევის წყაროდ (მაგ: საანგარიშო ნაწილში გამოყოფის წყარო გ-15 წარმოდგენილია როგორც K-M ჯგუფების გაერთიანებულ რეზერვუარების პარკებში და ასევე გ-13 გამოყოფის წყარო, რომელიც გაერთიანებულია გამწმენდ სისტემაში როგორც გაფრქვევის წყარო გ-15). არსებული გაფრქვევის წყაროს მნიშვნელობა საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისად ასახვას დანართებში წარმოდგენილ მონაცემებთან;

პასუხი:

სააგენტოს შენიშვნის გათვალისწინებით ზდგ-ის ნორმების პროექტში დაზუსტდა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების მნიშვნელობები და მათი ნომერაცია.

განახლებულ პროექტში ერთმნიშვნელოვნად არის იდენტიფიცირებული დამაბინძურებელი ნივთიერებების უშუალო გამოყოფის წყაროები და ატმოსფერულ ჰაერში მათი საბოლოო გაფრქვევის წყაროები.

შესაბამისი მონაცემები მოყვანილია ზდგ-ის ნორმების პროექტის საანგარიშო ნაწილსა და დანართებში წარმოდგენილ მონაცემებთან შესაბამისობაში.

ო) ობიექტის ფუნქციონირების სამივე ვარიანტის აღწერა და აირგამწმენდი დანადგარების საპასპორტო მონაცემები

სააგენტოს შენიშვნა:

ტექნოლოგიური პროცესის სირთულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ზდგ-ის ნორმების პროექტში ვერ იდენტიფიცირდება პროცესის შესაბამისად წარმოდგენილი წყაროები და მავნე ნივთიერებათა კონკრეტული შემადგენლობა, რომლითაც ხორციელდება ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების დადგენა ობიექტის ფუნქციონირების პროცესის სამივე ვარიანტის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მიზნით წარმოდგენილი უნდა იყოს ობიექტის ფუნქციონირების პროცესის სამივე ვარიანტის მიხედვით ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრული აღწერა. შესაბამისად, უნდა მოხდეს პროცესში ჩართული და იდენტიფიცირებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების დაზუსტება და მათ მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობების ასახვა შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს აირგამწმენდი დანადგარების საპასპორტო მონაცემები.

პასუხი:

სააგენტოს შენიშვნის გათვალისწინებით განახლებულ ზდგ-ის ნორმების პროექტში მოხდა ობიექტის ფუნქციონირების ტექნოლოგიური პროცესების თანმიმდევრული აღწერა. იდენტიფიცირებულია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული ობიექტები, გამოყოფის წყაროები, გაფრქვევის წყაროები, შესაბამისი მავნე ნივთიერებები და მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები. მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია შესაბამისი საანგარიშო მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამასთან, წარმოდგენილია შესაბამისი აირგამწმენდი დანადგარების საპასპორტო/ტექნიკური მონაცემები, მათ შორის დანადგარების ტექნიკური პარამეტრები, მწარმოებელი, სიმძლავრე/წარმადობა და გაწმენდის ეფექტიანობა.